31(186) 25.08.2000 პარასკევის გამოშვება 30 თეთრი


# ფანტაზია 2000


# 40% უსტი გასროლა ანუ

## კროს-რეიტინგი



...ჩვენს დაპირებას, რომელიც ამ წლის დასაწყისში მოგახსენეთ 2000 წელს 2000 კროსვორდის გამოქვეყნების თაობაზე, ნაწილობრივ ვასრულებთ და ეს იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი გაზეთის სამშ-აბათისა და პარასკევის გამოშვებებში უკვე თითქმის 700 საკროსვორდო ერთეული გამოვაქვეყნეთ; მართალია, აღნიშნული დაპირება თვითმიზანი არ გახლავთ, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, როცა პირობა სრულდება; ამიტომ და ამ მიზნით ვაპირებთ კროს-რეიტინგის სტილში შესრულებული 100 კროსვორდის კრებულის გამოქვეყნებას... მალე!



**9-11 გვ.**

1. ისრების ჩასადები ბუდე (6). 2. ის, რამაც ერთხელ ბექანა ტარიელს გაუტოლა (3). 3. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო (9). 4. თანამედროვე ქართველი კარიკატურისტი (3). 5. სპირტიდან ან ნავთობის აირებიდან მიღებული ორგანული ნაერთი, უჯერი წყალბადი (9). 6. მე-2 საუკუნის რომის იმპერატორი, პუბლიუს....(8). 7. (შევამოწმოთ თქვენი მეხსიერება) რა ერქვა კასანდრას ბებიას... სერიალში (10)? 8. სახელმწიფო აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში (7). 9. (გადატ.) ცხოვრების ყოველდღიურობა ანუ...(6). 10. ადგილობრივი მკვიდრი (3). 11. სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში (6). 12. ფასიანი ქაღალდის სახესხვაობა (3). 13. ის, რაც მუსლიმანურ სამყაროში XX საუკუნემდე არ გააჩნდათ ადამიანებს (4). 14. სასტუმრო თბილისში (1). 15. ტვირთის საკიდარი ხარი (4). 16. ცნობილი თანამედროვე კანადელი მომღერალი ქალი (5). 17. ჩილეს პრეზიდენტი 70-იან წლებში (6). 18. საბჭოური ეპოქის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი (3). 19. შობის წინა ღამეს მისალოცად კარდაკარ სიარული (4). 20. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ჩეხოვის პიესისა „თოლია“ (6). 21. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი შექსპირის პიესისა „ჰამლეტი“ (6). 22. ძალღი ცნობილი ამერიკული სერიალიდან (7). 23. ბერძნული წინსართი, რომელიც შედგენილ სიტყვებში „ქარის“ აღსანიშნავად იხმარება (6). 24. ჩვენი ტელევიზიის პოპულარული საბავშვო გადაცემა (2). 25. სასამკაულე ერთეული (2). 26. შუალედი ანუ რა? (3). 27. ქართველი მხატვარი, ქალბატონი ეკატერინე... (4). 28. (შევამოწმოთ თქვენი მეხსიერება) კამერუნის მაკრების მეკარე 80-იან წწ (10). 29. ძვრფასი ქსოვილის აღმნიშვნელი ტოპონიმური სიტყვა, თუნდაც „ვეფხისტყაოსანში“ (6). 30. ცხენის სვლის სახეობა (5). 31. ქალის სპეციფიური რუსული სახელი (7). 32. პოპულარული თანამედროვე ფრანგი ტოპ-მოდელი, ლიტისია... (7). 33. როგორი მეფე დაგვიხასიათა ანდერსენმა ერთ თავის ზღაპარში? (6) 34. შვინდის ჩირი (3). 35. მთავარი პერსონაჟი ქალის სახელი რომანში „ფორსაიტების საგა“ (9). 36. ქიმიური ელემენტი (3). 37. (გადატ.) ველური, დამანგრეველი ანუ... (4). 38. კონგოს დედაქალაქი (7). 39. როგორი პოეტი იყო მაიაკოვსკი? (5). 40. ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი (2).

**ქულათა მაქსიმალური რაოდენობა – 210**

**პასუხები მე-14 გვერდზე**



## სკანდინავიური

პარასკევის მორიგი გამოშვება

**არია** - ერთხმინი ვოკალური ნაწარმოები.

**არიაბჰატა** - V ს ინდოელი ასტრონომი და მატემატიკოსი.

**არიადნე** - ბერძნ. მითოლ. კრეტის მეფის მინოსისი ასული, რომლის ძაფის დახმარებით თესევსმა თავი დააღწია მინოსის ლაბირინთს.

**არიანე** ფლავიუს - მე-2 ს ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი.

**არიანელობა** - ქრისტ. ეკლესიაში წარმოშობილი მიმდინარეობა IV-VI საუკუნეებში.

**არიან-ქართლი** - ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით.

**არიარათე** - კაბადოკიის მეფეებისა და მმართველების სახელი ძვ.წ. IV-I სს.

**არიბალოსი** - სფერული მოყვანილობის დაბალყელიანი და ფართოტუჩიანი საზეთე ჭურჭელი.

**არიდული** - მცენარეულობა - გავრცელებული მშრალი ჰავის პირობებში; ჰავა - უდაბნოებისა და ნახევრადუდაბნოების ჰავა.

**არიელები** - ინდო-ირანულ ენებზე მოლაპარაკე ტომები და ხალხები.

**არიელი** - 1) პლანეტა ურანის თანამგზავრი. 2) პოპულარული სარეცხი ფხვნილი.

**არიერგარდი** - ჯარის ქვეგანაყოფი, რომელიც იცავს ჯარს უკან დახევის ან ფრონტის გასწვრივ მოძრაობის დროს.

**არიერსცენა** - სცენის უკანა ნაწილი.

**არიეტა** - მცირე ზომის ვოკალური ნაწარმოები.

**არივარა** ნარიხირა - IX ს იაპონელი პოეტი.

**არიზონა** - შტატი აშშ-ს დას. ნაწილში.

**არითმეტიზაცია** - (ლოგიკაში) ფორმალური თეორიის შესახებ ბჭობის თარგმნა არითმეტიკულ ფორმულათა ენაზე.

**არითმეტიკა** - მეცნიერება რიცხვებზე და ამ რიცხვებზე არითმეტიკულ მოქმედებათა შესახებ.

**არითმია** - გულის ნორმალური რიტმის დარღვევა.

**არითმოგრაფი** - გამოსათვლელი მანქანა, რომელიც მექანიკურად ასრულებს არითმეტიკულ მოქმედებებს და სპეც. ლენტზე ავტომატურად წერს მიღებულ შედეგებს.

**არითმომეტრი** - სამაგიდო საანგარიშო-ამომხსნელი მანქანა.

**არითმომორფოზი** - ევოლუციურ გარდაქმნათა ტიპი.

**არიკა** - ქალაქი-პორტი ჩილეში.

**არილი** - მზის შუქი რაიმეზე დამდგარი.

**არილირება** - ორგანულ ნაერთში წყალბადის, ლითონის ან ჰალოგენის ატომების ჩანაცვლება არილის ჯგუფით.

**არიმანი** - იგივე აჰრიმანი, ბოროტების ღვთაება ძველ სპარსულ რელიგიაში.

**არინა** - ქალაქი ხეთების სახელმწიფოში.

**არინ-ბერდი** - ბორცვი ერევნის მახლობლად, სადაც ურარტუს მეფე არგიშთის ციხე-სიმაგრე იყო აგებული.

**არიობარზანე** - კაბადოკიის და პონტოს მმართველთა სახელი.

**არიოვისტი** - ძვ.-გერმანული ტომების სვებების ბელადი ძვ.წ. I ს.

**არიოზო** - ოპერის ვოკალური ეპიზოდი ერთი ხმისათვის.

**არიოთი** - ბალახ-ბულახი (საბა)

**არიონი** - ძვ.წ. VII-VI სს ბერძენი პოეტი კუნძულ ლესბოსიდან.

**არიოსტო** ლუდოვიკო - XV-XVI სს იტალიელი პოეტი.

**არირა** - ქართული (მეგრული) ხალხური ცეკვა სიმღერის თანხლებით.

**არისა** - ხორციანი კორკოტი.

**არისი** - 1) მლაშე-მწარე ტბა, მდინარე და ქალაქი ყაზახეთში.

**არისმენდი** როდნეი - ურუგვაის მუშათა მოძრაობის მოღვაწე.

**არისტაგორა** მილეტელი - V ს მილეტის ტირანი, ბერძენ-სპარსელთა ომების წამქეზებელი.

**არისტაკეს** ლასტივერტცი - XI ს სომეხი ისტორიკოსი.

**არისტარქე** - კოლხეთის მმართველი ძვ.წ. I ს

**არისტე** პაულ - გამოჩენილი ესტონელი ენათმეცნიერი, ფინურ-უნგრული ენების სპეციალისტი.

**არისტიდე** - ძვ.წ. VI-V სს ათენის პოლიტ. მოღვაწე.

**არისტიპე** კირენელი - ძვ.წ. V-IV სს ბერძენი ფილოსოფოსი.

**არისტო** ქვაშავაძე - პერსონაჟი დ. კლდიაშვილის მოთხრობისა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

**არისტოგენეზი** - იდეალისტური, ანტიდარვინისტული ევოლუციის თეორია.

**არისტოკრატი** - არისტოკრატიის წარმომადგენელი.

**არისტოკრატია** - საზოგადოებაში გვარიშვილობით ან სიმდიდრით წარჩინებულთა პრივილეგიური ზედაფენა.

**არისტონი** - მექანიკური მუსიკალური საკრავი ყუთის სახისა.

**არისტონიკე** - მონებისა და ღარიბების სოც. მოძრაობის ბელადი ძვ. წ. II ს საბერძნეთში.

**არისტოტელე** - ძვ.წ. IV ს დიდი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი.

**არისტოტელიზმი** - ამა თუ იმ სახით არისტოტელეს ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების აღიარება.

**არისტოფანე** - ძვ.წ. V-IV სს ბერძენი კომედიოგრაფი.

**არიფანა** - 1) მოყვასთაგან საჭმლით შემოკრება (საბა). 2) ერთმანეთში შეგროვილი ფულით პურის ჭამა.

**არიფი** - 1) (ძვ.) ამხანაგი, ტოლი, სწორი; 2) გამოუცდელი, მიამიტი ადამიანი.

**არიფიონი** - 1) ქართვ. მწერალთა ლიტ. გაერთიანება 1927-28 წლებში; 2) ამავე გაერთიანების ჟურნალი.

**არიში** - სტრატეგიული პუნქტი ძვ. ჰერეთში სავაჭრო გზაზე.

**არიშიანი** - საქართვ. სახელმწიფო მოღვაწე XI-XII სს მიჯნაზე, ჰერეთის დიდებული აზნაური.

**არიშრააკვარა** - მდინარე ოჩამჩირის რ

**არკადა** - იგივე თაღედი.

**არკადაკი** - ქალაქი რუსეთში (სარატოვის ოლქი)

**არკადია** - თანამედროვე საბერძნეთის მხარე (ნომოსი).

**არკადია** - რომის ლიტ. აკადემია, ჩამოყალიბდა 1690 წელს.

**არკადია** - იდილიურ პოეზიაში „მწყემსების ბედნიერი ქვეყანა“

**არკადიმია** - სახლი საფილასოფოსო (საბა).

**არკადიუსი** - აღმ. რომის იმპერატორი IV-V საუკუნეებში.

**არკალიკი** - ქალაქი ყაზახეთში.

**არკანზასი** - შტატი და მდინარე აშშ-ში.

**არკატაგი** - ქედი კუნლუნის (ჩინეთი) ცენტრ. ნაწილში, იგივე პრჟევალსკის ქედი.

**არკატურა** - იგივე თაღნარი.

**არკაშონი** - კლიმატური კურორტი საფრანგეთში, ბისკაის ყურის პირას.

**არკბუტანი** - შენობის გარე კედელ მიშენებული ნახევარრკალის ფორმის ქვის თაღი.

**არკებუზი** - ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი პირველსახეობა დას. ევროპაში.

**არკესილაე** - ძვ. IV-III სს ბერძენი ფილოსოფოსი.

**არკი** - ციხე-სიმაგრე, ციტადელი შუა სს შუა აზიის ქალაქებში.

**არკინარეთი** - სოფელი ცხინვალის რ

**არკისიოსი** - ზევსის ვაჟი, ოდისევსის პაპა.

**არკნეთი** - სოფელი ზნაურის რ

**არკოზი** - გრანიტის, გნაისისა და მათი მსგავსი მჟავე ქანების დაშლით წარმოქმნილი ფხვიერი მასალა.

**არკოლე** - სოფელი იტალიაში (ვერონასთან), სადაც გაიმართა ბრძოლა ნაპოლეონისა და ავსტრიის არმიებს შორის.

**არკონა** - ბალტიისპირა სლავების ქალაქი X-XII საუკუნეში.

**არკონადა** 1) სესარ მუნიოს - XX ს ესპანელი მწერალი და ჟურნალისტი. 2) ლუის - ახლო წარსულში ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე.

**არლანი** მარსელ - XX ს ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი.

**არლეკინი** - იტალიური ხალხური კომედიის ტრადიციული პერსონაჟი.

**არლეკინადა** - თეატრალური პიესა, რომლის მთავარი მოქმედი პირი არლეკინია.

**არლი** - ქალაქი სამხრ.-აღმ. საფრანგეთში.

**არლინგტონი** - აშშ-ს დედაქალაქ ვაშინგტონის გარეუბანი.

**არმა** - ხეთების მთვარის ღვთაება.

**არმაგედონი** - ფილმი ბრუს ვილისის მონაწილეობით.

**არმადა** - საბრძოლო ხომალდების, თვითმფრინავების და ტანკების დიდი შენაერთი.

**არმადილი** - (ჯავშნოსანი) ძუძუმწოვარა ცხოველი, რომლის სხეული დაფარულია ბაკნით.

**არმავირი** - 1) აირარატის (ძვ. სომხეთის) სამეფოს დედაქალაქი ძვ. წ. IV-II სს. 2) ქალაქი რუსეთში (კრასნოდარის მხარე).

**არმაზი** - 1) ძვ. ქართლის უზენაესი წარმართული ღვთაება. 2) ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. 2) სოფელი ახალგორის რ

**არმაზისხევი** - ძვ. მცხეთის ერთ-ერთი უბანი.

**არმაზციხე** - ძვ. მცხეთის შიდაციხე მტკვრის მარჯვენა ნაპირას.

**არმანდი** ინესა - საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე XX ს დასაწყისში.

**არმანიაკი** - ფრანგული არაყი.

**არმატოლები** - შინაგანი დაცვის რაზმები XVII-XIX სს საბერძნეთში.

**არმატორი** - გემთმფლობელი პირი.

**არმატურა** - 1) ბეტონში დატანებული ელემენტების ერთობლიობა. 2) აპარატის ან მანქანის მეორეხარისხოვანი ნაწილები.

**არმაღანი** - ძვირფასი საჩუქარი.

**არმელი** პიერ - XX ს ბელგიის სახელმწ. მოღვაწე.

**არმენი** როზი - ახლო წარსულის ფრანგი საესტრადო მომღერალი ქალი.

**არმენია** - ქალაქი კოლუმბიის ცენტრ. ნაწილშ.

**არმენისტიკა** (არმენოლოგია) - სომეხი ხალხის ისტორიის. ლიტერატურისა და ყოფის შემსწავლელი ჰუმანიტარული დარგი მეცნიერებისა.

**არმენოპულოსი** კონსტანტინე - XIV ს ბიზანტიის იურისპრუდენციის გამოჩენილი მოღვაწე.

**არმენფილმი** - სომხეთის კინოსტუდია.

**არმია** - სახმელეთო ჯარები.

**არმიელი** - მეომარი, ჯარისკაცი.

**არმინია** - გერმანიის საფეხბურთო კლუბი.

**არმინიუსი** - ძვ.წ. I ს გერმანული ტომების ხერუსკების ბელადი.

**არმირება** - მასალის ან კონსტრუქციის გაძლიერება სხვა მასალით.

**არმორიკა** - ჩრდ.-დას. გალიის ტერიტორიის კელტური სახელწოდება.

**არმსტრონგი** ლუი - XX ს გენიალური ამერიკელი მომღერალი და მუსიკოსი.

**არმსტრონგი** ნილ - აშშ ასტრონავტი, რომელმაც 1969 წლის 21 ივლისს პირველმა დაადგა მთვარის ზედაპირს ფეხი.

**არმუნჯი** - უწყლო ღვინო (საბა).

**არმხი** - მდინარე ყაზბეგის რ, თერგის მარცხენა შენაკადი.

(3134)

(გაგრძელება იხილეთ ჩვენი გაზეთის სამშაბათის გამოშვებაში )



***თარაზულად:*** 5. ჩვენი სამთო-სათხილამური კურორტი. 8. **ფოტო №1**. 11. **ფოტო №2**. 12. ძალიან ძლიერი სიცხე . 14. **ფოტო №3**. 15. ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში პირველი „მფრინავის“ მამა.. 16. ამოუცნობი და ჩახლართული ანუ? 19. **ფოტო №4**. 22. ქალაქი უზბეკეთში. 24. ძვ.თბილისში ხმარებული „მოსაფერებელი“ ბოლოსართი. 27. ვაზის მოჭრილი ტოტები. 28. **ფოტო №5**. 29. სადაურია დ’არტანიანი? 30. მტრის ბანაკში დატოვებული პირი.

***შვეულად:*** 1. **ფოტო №6**. 2. „მთების ხმა“. 3. **ფოტო №7**. 4. ქალაქი ლიტვაში. 6. შეგროვილი ფულით პურის ჭამა. 7. ცეკვა ანუ? 9. საბჭოთა მანქანა. 10. არაამქვეყნელი ანუ? 13. ევროპის მდინარე. 17. აშშ-ს შტატი. 18. სიძე-პატარძლის თანმხლები პირები. 20. XX ს გერმანელი მწერალი. 21. დაცვის ფუნქციებით აღჭურვილი პირი. 23. აშშ-ს შტატი. 25. ხის ნარჩენი. 26. გაუაზრებელი ლაპარაკი.



1. სანახაობა



2. ვინ არიან?



3. სადავო...



4. როგორი მზერა



5. გვარი...



6. დაშინება



7. სერიალი

# სპარსული სიტყვები ქართულ ენაში

**არამზადა** - შესაძლოა, მავანთ ჰგონიათ, რომ ეს ჩვენს ენაში შექმნილი კომპოზიტია (არა+მზადა) და მოუმზადებელს და უკეთურს ნიშნავს, მაგრამ, სამწუხაროდ ცდებიან, რადგან ეს სიტყვაც სპარსულ-არაბული სიტყვების ნაერთი გახლავთ, ანუ - „ჰარამ“ (არამი) - აკრძალული (გაიხსენეთ „ჰარამხანა“ - აკრძალული სახლი) და „ზადე“ - დაბადებული... (ეს ბოლოსართი ხშირად გვხვდება თუნდაც აზერბაიჯანულ გვარებში - ალი-ზადე, შირვან-ზადე და ა.შ.) ასე რომ, „არამზადა“ უკანონოდ შობილს (ნაბიჭვარს) ნიშნავს და ჩვენს ენაში რაღაც გაიძვერობის დანიშნულება შეიძინა.

**ფანჯარი** - ასე იშლება ფაქ+ქარ (ორი ქ-ს თავმოყვრა ჩვენმა ენამ ნ ბგერით „განმუხტა) და ნიშნავს „სუფთად(ფაქ) მწერს, მოსაქმეს (ქარ)“. ეს „ფაქ“ სხვა სიტყვაშიც „შემოვინახეთ“ - როგორიცაა „ფაქიზი“ და გვხვდება ისეთ ტოპონიმში, როგორიცაა „პაკისტანი“ (ფაქ-ესთან) - ანუ წმინდა ქვეყანა. სხვათა შორის დღეს სპარსულ ენაში ფანქრის აღსანიშნავად იხმარება არაბული სიტყვა „მედად“... ასე რომ, დიახაც ჩვენ „შემოვუნახეთ“ სპარსელებს ეს სიტყვა.

**ამქარი** - „ქარ“ - საქმეს ნიშნავს, „ჰამ“ - ერთად ქმედების - ჩვენი „თან“-ის - მანიშნებელი წინსართია, ასე რომ „ამქარი“ ერთად მოსაქმეებს ნიშნავს.

**სარქალი** - აქაც იგივე „ქარ“(საქმე) ასრულებს მთავარ როლს, რასაც უძღვის „სარ“ (თავი) და მიიღება საქმის მოთავე, მეთაური; აღნიშნულ სიტყვას ახლა ჩვენი მეცხვარეები ხმარობენ თავისი ხელმძღვანელის აღსანიშნავად.

**ქარხანა** - აქ უკვე ყველაფერი გასაგებია: ქარ+ხანა, ანუ „საქმის სახლი.

**ამხანაგი** - ეს „კომუნისტური“ სიტყვაც სპარსული ენიდან მომდინარეობს. როგორც „ამქრის“ შემთხვევაში მოგახსენეთ, „ჰამ“ ერთად ქმედება-არსებობის წინსართია, „ხანა“ სახლია; ჰოდა, „ჰამ+ხანეგი“ არის თანამოსახლე ანუ ახლობელი პირი და ახლა ამ სიტყვას სულ ტყუილად უარვყოფთ (უკვე ხსენებული) კომუნისტური დანიშნულებისა გამო.

**მურტალი** - ეს საკმაოდ საინტერესო ენობრივ-ისტორიული ფენომენია, რამაც საუკუნეების განმავლობაში მრავალი სახეცვლილება განიცადა და აგერ, ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩაშიაც“ ამოყო თავი.

აქაც ორ სიტყვასთან გვაქვს საქმე - მოჰრ +დარ. თუ მეორე ნაწილი ასე თუ ისე „გასაგებია“ ჩვენთვის, რადგან სხვა სიტყვებშიც გვხვდება „მქონეს“ მნიშვნელობით (ამაგ-დარი - ამაგის მქონე, მიზან-დარი - მიზნის მქონე), „მოჰრ“ გაუგებარია ასეც და ისიც...

„მოჰრ“ სპარსულად ბეჭედს ნიშნავს, მაგრამ სად „ბეჭდის მქონე“ და სად „მურტალი“?!

საქმე იმაშია, რომ ძველად საქართველოში ირანის შაჰის მიერ შემოგზავნილ გადასახადების ამკრეფს „მოჰრ-დარი“, ანუ შაჰის ბეჭდის მქონე ეწოდებოდა. ჩვენ მათი ქმედებების დახასიათებას არ შევუდგებით, ეს ისედაც ცხადია და უფრო მეტად ისაა ცხადი, რომ სწორედ მათმა „მურტალმა“ ქმედებებმა მათი წოდებულება საკმაოდ არასასურველი ელფერით შემოსა და ხსენებული სიტყვა „შექმნა“ ჩვენს ენაში.

**ასე რომ, „არამზადაც და მურტალიც“ უცხო ენიდან შემოსული სიტყვები გახლავთ და, მაპატიონ ჩვენი წინაპრების წმინდა აჩრდილებმა, მაგრამ სწორედ მათს შორის მობოგინე არამზადა-მურტალი ადამიანების „დამსახურებაა“, რომ ასე დანაგვიანებულია დღეს ჩვენი ენა...**

**მოვუაროთ ქართულ ენას!**

**ალ.ელერდაშვილი**

ჩუმად ჩუმად
არვინ გაგვიგოს

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი | დ | ვ | ე | ლ | ი | ბ | ა | ა | თ | ა | შ | ვ | ი | ლ | ი | მ |
| ყ | შ | ი | შ | რ | ო | ე | ა | რ | ზ | ი | დ | ე | ნ | ტ | ტ | ა |
| მ | უ | ი | ნ | ო | შ | ი | ბ | რ | ე | ვ | ე | რ | ც | ი | ა | ი |
| ა | გ | ს | ი | ი | უ | | | | | | | | ხ | ა | ხ | ვ |
| ი | ტ | შ | ა | ნ | შ | | | | | | | | ლ | რ | ტ | ო |
| რ | ტ | ა | ნ | ა | ა | | | | | | | | ი | ი | ი | ნ |
| ლ | ი | ტ | დ | ბ | ჯ | | | | | | | | გ | ი | ხ | ო |
| ი | რ | ე | რ | ო | პ | | | | | | | | რ | ა | ვ | ო |
| ც | უ | კ | ე | ს | ო | | | | | | | | ე | ო | ი | ნ |
| ი | ნ | ო | კ | ზ | ვ | | | | | | | | ბ | ნ | ლ | ზ |
| რ | ტ | რ | ვ | ო | ი | პ | ო | ლ | კ | ო | ვ | კ | ი | ი | ი | ო |
| დ | ვ | ე | ა | რ | გ | ე | ს | მ | პ | ო | ნ | ი | ე | ლ | ზ | ი |
| ა | ზ | ი | რ | ა | ვ | ო | ტ | ი | ა | ნ | ი | ა | შ | ბ | ა | ლ |



1) საბჭოური ეპოქის დიდი მოღვაწე, რომელმაც (...მანამდე!) უზარმაზარი სადაზვერვო ქსელი შექმნა.

2) თუ გსმენიათ - რა ერქვა რუმინეთის დიქტატორის, ჩაუშესკუს სადაზვერვო სამსახურს?

3) მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ცნობილი საბჭოელი მზვერავი.

4) მზვერავის ერთ-ერთი ქართული სინონიმი (...თუმცა კი ეს სიტყვაც სპარსული გახლავთ და მის შესახებ სხვა დროს ვისაუბრებთ).

5) კიდევ ერთი ნამდვილად ქართული სინონიმი სიტყვა „მზვერავისა“.

6) ლიტველი მსახიობი, რომელიც საბჭოელი მზვერავის როლს ასრულებდა ცნობილ ფილმში „საგანგებო მისია“.

7) ჩვენი კროსვორდის დღევანდელი თემის საწინააღმდეგო ქმედება.

8) ცნება, რომელიც ჩვეულია სავაჭრო ქსელისათვის და მიუღებელია პოლიტიკისათვის.

9) სიტყვა, რომელიც КГБ-ს ქართულ თარგმანში მთავარ დანიშნულებას ასრულებს.

10) რა სამხედრო წოდება ჰქონდა ცნობილ საბჭოელ მზვერავს, აბელს?

11) ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც თავის მოვალეობას ასრულებდა კითხვა № 3-ში მოხსენიებული პირი.

12) მეფე ლუარსაბ II-ის კარზე მობოგინე მთავარი მოღალატისა და სპარსელთა აგენტის გვარი.

13) დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოს გარკვეულ რეგიონში.

14) ლითონი, რომელმაც კაცობრიობის მთავარ მოღალატეს უკეთური საქციელისაკენ უბიძგა.

15) ყველა ცნობილი მზვერავი კატის სახელი საბავშვო ლიტერატურიდან.

16) პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ცნობილი ჰოლანდიელი მზვერავი ქალი, რომელმაც, სხვათა შორის, „პლეიბოის“ გამოკითხვაში 99-ე სალამაზმანო ადგილი დაიკავა.

17) ყველაზე ცნობილი საბჭოთა მზვერავი.

18) ხსენებული ყველაზე ცნობილი საბჭოთა მზვერავის შესახებ შექმნილი ფილმის რეჟისორი.

19) ხსენებული ყველაზე ცნობილი საბჭოთა მზვერავის როლის შემსრულებელი.

20) ხსენებული ყველაზე ცნობილი საბჭოთა მზვერავის გერმანელი ხელმძღვანელის გვარი... შესაბამის ფილმში.



**თარაზულად:** 1. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული გარეული ცხენი. 4. ავტორი მთელ მსოფლიოში ბესტსელერად ქცეული წიგნისა „ბავშვი და მისი მოვლა“. 7. ჩვენი ტელევიზიის პირველი არხის ერთ-ერთი ყოფილი საინფორმაციო გადაცემის სახელი. 10. კაზინოს მოხელე. 17. ქრისტიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი? 18. ქალის მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „არ დაიდარდო“. 19. პარიზის გარეუბანი, რომელიც თავის ცნობილ სურათში უკვდავყო ედუარ მანემ. 22. XIX საუკუნეში მოღვაწე გერმანელი მათემატიკოსი, ლეოპოლდ.... 23. XIX საუკუნის რუსი პოეტი. 24. რა ერქვა დავით აღმაშენებლის პაპას? 29. იგივე ჩრდილი. 30. ზეპირი მეტყველების მექანიკური ჩამწერი მოწყობილობა. 31. ზოგ ენაში ზმნისა და ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმა, რომელიც შეიცავს პირველსა და მეორე პირს. 32. როგორი იყო თითოეული მოქალაქე ფილმ „ცისკარასეულ“ ქალაქში? 36. მწერი თავისი განვითარების ერთ-ერთ სტადიაზე. 37. უნებლიე შარდვა - სამედიცინო ენაზე. 38. რა ერქვა ჩელინის, რომლის ცხოვრების შესახებაც მოგვითხრობს ალ. დიუმა-მამას რომანი „ასკანიო“? 43. ჩვენი დროის თურქი პოლიტიკური მოღვაწე ქალი. 44. ცხოვრებაშივე „მათემატიკის მეფედ“ წოდებული გერმანელი მეცნიერი. 45. რუსი ისტორიკოსი და მწერალი, ავტორი სენტიმენტალური მოთხრობისა „საბრალო ლიზა“. 46. კანტორის მუშაკი. 50. სახელი მითოლოგიური პერსონაჟისა, რომლის სვეტებიც გიბრალტარის სრუტესთან იდგა. 51. ხორვატიის დედაქალაქი. 52. რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის, ხელშეკრულების შესავალი ნაწილი. 57. რომანისა (...და ფილმის) - „ქარწაღებულნის“ - ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. 58. ცნობილი რუსი ფიზიკოსი, კვანტური ელექტრონიკის მამამთავარი. 59. ფრანგი კინორეჟისორი, რენე... 60. სიარულის ერთ-ერთი არატრადიციული ფორმა. 64. 80-იანი წლების ირლანდიელი ფეხბურთელი, ტონი... 65. რაიმეს აღდგენა - ზოგადად. 66. XX საუკუნის ცნობილი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე და პრემიერ-მინისტრი. 70. ოთხი ქუჩით შემოსაზღვრული საცხოვრებელი სივრცე. 71. ქალაქი უკრაინაში. 72. ზაფხულის ხილი. 76. ის, რასაც სვანი მუშთაიდის პარკში ეძებდა ერთ ძალზედ ცნობილ ანეკდოტში. 77. კარტოგრაფი, რომელმაც შექმნა პირველი რუკების კრებული და უწოდა მას „ატლასი“. 78. შემოვლა-შემოწმების სახესხვაობა. 79. XVIII საუკუნის ცნობილი მილანელი კომპოზიტორი, კრისტოფ ვილიბალდ.... 84. ძველი ბერძენი მოქანდაკე, ავტორი დიდებული „ლაოკოონისა“. 85. რა არის მიზეზი იმისა, რომ ბრაზილიაში ყოველწლიურად ნოემბერში საგრძნობლად იმატებს შობადობის რიცხვი? 86. რა არის ეს - მუსტანგი-მანგუსტი? 90. ქალაქი პოლონეთში. 91. ამ საოპერო მომღერალმა ფრედი მერკურისთან ერთად სიმღერა „ბარსელონა“ იმღერა... აქ მისი სახელი ჩაწერეთ. 92. რა ჰქვია თითბრის როდინს? 93. მიკრობიოლოგიის ფუძემდებელი გერმანელი მეცნიერი. 97. რა ჰქვია ადამიანს, რომელიც აზრებს შორ მანძილზე გადასცემს? 98. რკინიგზის ან მეტროპოლიტენის ბოლო სადგური. 99. ამ ქალქს მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატ და მარგარიტაში“ ერშალაიმი ჰქვია... რას ვეძახით ამ ქალაქს ჩვენ, ქართველები? 102. XX საუკუნეში მოღვაწე ავსტრიელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, პაულ... 103. გემის კორპუსის ჰორიზონტალური გადახურვა. 104. პურეულის სალეწი ძველისძველი იარაღი. 109. სტერეოტიპი კაცისარომელიც მამაკაცს ქალზე მაღლა აყენებს და მბრძანებლობს მასზე. 110. კაცი, რომელმაც პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს. 111. მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია ნატურალური სიდიდის სანთლის ფიგურები. 115. გაგარინიც და იაკოვლევიც. 116. ჭადრაკის მუზა. 117. ფულადი გადასახადის სახეობა საომარი ვითარების დროს. 118. მცენარის შემადგენელი ნაწილი. 122. „ასე ამბობდა ზარატუშტრას“ ლიტერატურული პირველწყარო ნიცშეს ეკუთვნის... ვინაა ამ ნაწარმოების მუსიკალური ვერსიის ავტორი? 123. ამ კომპოზიტორმა, როგორც ამბობენ, თითქმის ყველა ევროპული ენა (8 ენა) იცოდა მშობლიურის გარდა... აქ მისი გვარი ჩაწერეთ. 124. წმინდანი, რომლის სახელიც სისხლით შეიღება 1572 წლის 24 აგვისტოს. 125. მახაჩკალის საფეხბურთო გუნდი. 130. ვინ იყო კონსტანცა ბონასიეს მიჯნური? 131. კუნძული, სადაც არქეოლოგმა ევანსმა მინოსის სასახლე აღმოაჩინა. 132. ვენეციური სატრანსპორტო საშუალება. 137. ჩინეთის მეგაპოლისი. 138. სივრცე, სადაც მზადდება საომარი ოპერაცია. 139. განსაკუთრებული ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი. 140. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი ნახევარმცველი 70-80-იან წლებში. 141. მარცვლეული კულტურა, რომლის გემოც თამარ მეფემ არ იცოდა. 142. ჭეშმარიტი მეცნიერის სამუშაო სივრცე. 143. ერთწლოვანი მარცვლოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა.

**შვეულად:** 1. ბიბლიური „ხუთწიგნეულის“ ავტორი. 2. ლათინოამერიკელთა თავსაბურავი. 3. დაასრულეთ იტალიელი მწერლის, უმბერტო ეკოს, სიტყვები - „ერთადერთი „მანქანა“, რომელსაც შეუძლია წარმოქმნას უსასრულო რაოდენობა ტექსტისა, შეიქმნა ათასწლეულების წინ და მას ჰქვია...“ რა?. 5. „პატარად“ წოდებული თანამედროვე ფრანგი ფეხბურთელი. 6. ტვირთის გადასაზიდი სტანდარტული სათავსი. 8. მეცნიერი, რომელმაც ვაშინგტონში აშშ-ს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება დაარსა და დღევანდელი აშშ-ს ერთ-ერთ კულტურულ კერას წარმოადგენს. 9. რა ჰქვია ყურანის თითოეულ თავს? 11. ელექტროძრავის შემადგენელი ნაწილი. 12. მეძებარი ძაღლის ჯიში. 13. ადრიანო ჩელენტანოს პერსონაჟი ფილმში „ჭირვეულის მორჯულება“. 14. უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება. 15. ფრინველთა ექსკრემენტი. 16. ქუთაისის უბანთაგანი. 20. რუსი კინომსახიობი, იგორ... 21. **Треска** - ქართულად ვირთევზაა, **Лосось** - ორაგული... როგორაა ქართულად **Угорь**? 25. მავნე არსება და ტყის კაცი ძველი ხალხური თქმულებებიდან. 26. ოიდიპოსის მიერ გაბითურებული არსება ბერძნულ მითოლოგიაში. 27. ქალის ხევსურული სახელი. 28. კვიპროსის დედაქალაქი. 33. რეჟისორი კინოფანტასტიკის შედევრისა „კოსმოსური ოდისეა – 2001“. 34. ვინ იყო, თუნდაც, სოლომან მორბელაძე? 35. რა ეწოდება ანტიკურ არქიტექტურაში კოლონადის კვარცხლბეკს? 39. ფილტვებში ბრონქების ბოლოებზე არსებული ბუშტულათაგანი. 40. ადგილი, საიდანაც მრავალ მამრს მივლინებაში წასვლა ძალზედ უხარია. 41. მოსკოვის ცნობილი პუტჩის ერთ-ერთი ინიციატორი. 42. დამუშავებული ალმასი. 47. კაცი, რომელიც ცდილობს გააძლიეროს ეკლესიის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. 48. მცენარე, რომელსაც ინგლისში, რატომღაც, „ციმბირული ანანასი“ უწოდეს. 49. აშშ-ს შტატი. 53. საშუალო ტექნიკური ან სპეციალური სასწავლებელი. 54. რა ერქვა გოიას, ესპანელ მხატვარს? 55. ალპურ ზონაში მობინადრე გარეული თხა. 56. წყალში ღრმად ჩარჭობილი გრძელი ჯოხი. 61. ჟან მარეს კინოროლი. 62. მცირე ნაწილაკების ამაჩქარებელი ერთ-ერთი მოწყობილობა. 63. ცხოველის დასაჭერი ყულფიანი თოკი. 67. გრიგოლ ორბელიანი პოემა. 68. ტელეკომპანია „კავკასიას“ საინფორმაციო გადაცემა. 69. რა გააჩნია თუნდაც „ვეფხისტყაოსანს“? 73. პლატონის ერთ-ერთი დიალოგი. 74. მთავარი ჯადოქარი კელტთა ლეგენდარული მეფე არტურის კარზე. 75. წყლის განსაზღვრული სივრცე - ზოგადად. 80. აზიის კუთვნილი ნახევარკუნძული. 81. ვაზის რა აღწერა კონსტანტინე გამსახურდიამ? 82. რაიმე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი. 83. ზღაპრული არსება, რომელიც სუნთქვით და შეხედვით კლავდა ყოველ ცოცხალ არსებას. 87. სახელმწიფო წყობა, როდესაც მართვის სადავეები გამდიდრებულ მცირერიცხვან ჯგუფს აქვს ხელში. 88. ქვეყანა, რომლის სახელწოდებაც ქიმიურმა ელემენტმა შექმნა. 89. ე.წ. „ნახატიანი ქვა“. 94. ის, რის მეფედაც იმრე კალმანია აღიარებული. 95. „უპატრონო კომპიუტერშიკების“ ქსელი. 96. სტუდენტის ჩათვლის წიგნაკის „შინაური“ სახელი. 100. ძველბერძნულ მითოლოგიაში ღმერთებს ორი მაცნე ჰყავდათ, პირველი ირიდა იყო... ვინ იყო მეორე? 101. სოფელი ჩოხატაურის რაიონში. 105. ნაპოლეონის მარშალი ნეისთან და დავუსთან ერთად. 106. თანმხლები სამხედრო დაცვა. 107. ამ უკანასკნელ ხანს ძალზედ გაპოპულარებული „ფრიად“ საზოგადოებრივი მეცნიერება, რომლის ფაკულტეტიც კი არსებობს თსუ-ში. 108. ნადირობის ქალღმერთ დალის თმახუჭუჭა ვაჟი. 112. ძალიან დიდი მანძილების საზომი სიგრძის ერთეული. 113. „რომეო და ჯულიეტას“ პერსონაჟი. 114. აკაკისეული ლექსი. 119. თავისი კანონებით განთქმული ბაბილონის მეფე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1792-1750 წლებში. 120. ადამიანების გადასახლება საზღვრებს გარეთ. 121. კაის დობილი გოგონა ჰანს ქრისტიან ანდერსენის ცნობილ ზღაპარში. 126. სამხედრო მუსიკალური ნაწარმოები. 127. ქალის სახელი, რომელიც იტალიურად „ვარსკვლავს“ ნიშნავს. 128. რა სიტყვა აერთიანებთ ფილდს, ნობელს და ბუკერს? 129. სურათების კრებული. 133. პაკისტან-ინდოეთის მთავარი საწყალოსნო არტერია. 134. რა ერქვა კაცს, რომელიც წყეულ „კაპრატივს“ დასანახავად ვერ იტანდა. 135. სატრანსპორტო საშუალება გასული საუკუნის ინგლისში. 136. სახელი, რომელიც უპირატესად სამეგრელოს წარმომადგენელ ქალბატონებს ჰქვიათ.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**



კომპიუტერული ხუმრობა


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13
14 15 16
17 18 19
20 21
22 23 24
25 26 27 28
29 30 31 32
33 34 35
36 37 38
39 40 41 42
43 44 45 46
47 48 49
50 51 52
53 54 55 56
57 58 59 60
61 62 63
64 65 66
67 68 69
70 71 72
73 74 75
76 77 78 79
80 81 82 83
84 85 86
87 88 89
90 91 92 93
94 95 96
97 98 99
100 101
102 103 104
105 106 107 108
109 110 111
112 113 114
115 116 117 118
119 120 121
122 123 124 125
126 127 128 129
130 131 132
133 134 135 136
137 138 139 140
141 142 143

# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-14 გვერდზე)

### კითხვა №1

1995 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის სამთო კურორტებზე ნაგვის შეგროვება დაიწყეს. სულ 17 ტონა შეაგროვეს. ლითონი გადასადნობად გააგზავნეს, შეშა კი საწვავად გამოიყენეს...

**ძირითადად რისაგან შედგებოდა ეს ნაგავი? (9 ქულა)**

### კითხვა №2

აბრაამ ლინკოლნის მავზოლეუმის გარშემო მხოლოდ 36 კოლონა დგას...

**რატომ?(10 ქულა)**

### კითხვა №3

ტალეირანი ამბობდა: „მე ვაპატიებ ადამიანს, თუ მას ჩემგან განსხვავებული აზრი გააჩნია და არავის ვაპატიებ, თუ არ გააჩნია...

**რა? (9 ქულა)**

### კითხვა №4

ერთხელ საფრანგეთის დედოფლის, მარია-ანტუანეტას მკერავმა ქალმა, ვინმე მადმუაზელ ბერტენმა, წარმოთქვა ყველასათვის კარგად ცნობილი ფრაზა (*რაც მოგვიანებით აითვისა მსოფლიომ*), როცა დედოფალს მის მიერ შეთავაზებული კაბა ძველებურად მოეჩვენა...

**რა ფრაზა წარმოთქვა მადმუაზელ ბერტენმა? (12 ქულა)**

### კითხვა №5

1835 წელს გაზეთმა „ნიუ-იორკმა სანმა“ შემდეგი სახის განცხადება გამოაქვეყნა: „ორმა მეცნიერმა, გერშელმა და ბრიუსმა, ერთობლივი მუშაობის შედეგად, გამოიგონეს ტელესკოპი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მთვარეზე ადამიანების დანახვა...

**როდის გამოვიდა ამ გაზეთის აღნიშნული ნომერი? (5 ქულა)**

### კითხვა №6

1764 წელს მაინის ფრანქფურტში გამოჩნდა ერთ-ერთი პირველი აფიშა. ადგილობრივი მოქალაქე აცხადებდა, რომ იგი აპირებს გამართოს კონცერტი, რომელშიც მისი შვილები მიიღებენ მონაწილეობას...

„ჩემი 12 წლის გოგონა და 7 წლის ვაჟი შეასრულებენ გენიალური მაესტროების ნაწარმოებებს კლავესინზე. ვაჟი შეუცდომლად ამოიცნობს ნებისმიერ აკორდსა და მუსიკალურ ბგერას; უფრო მეტიც - ჩემი ბიჭუნა კლავესინზე რამოდენიმე პიესას შეასრულებს ისე, რომ კლავესინის კლავიშები ქსოვილით იქნება დაფარული...“

**ვინ იყო ეს ბიჭუნა? (7 ქულა)**

### კითხვა №7

1879 წელს ერთმა ინგლისელმა მიწათმფლობელმა თავისი არენდატორებისაგან მიწით სარგებლობისათვის გადასახადის გაზრდა მოითხოვა. ამის საპასუხოდ მისმა დაქირავებულმა მუშებმა უარი თქვეს მისთვის მუშაობაზე, უარი თქვეს აგრეთვე ფოსტალიონებმა მისთვის კორესპონდენციის მიტანაზე, ვაჭრები კი მის სახლს შორიდან უვლიდნენ გარს...

**მაინც რა გვარი იყო ის ინგლისელი მიწათმფლობელი? (11 ქულა)**

### კითხვა №8

ამ ერთ მოვლენაზე ყოველი ჩეულებრივი 80-85 მოვლენა მოდის. ნიგერიაში, მაგალითად, ეს მოვლენა უბედურების მომასწავებლად მიაჩნიათ... სალივას ტომის ინდიელები ამ მოვლენის მონაწილე ქალბატონს ჯოხით სცემენ ღალატისათვის... კოკოპას ტომის ჩრდილო-ამერიკელები კი ამ ამბავს ღმერთების კეთილი ნების გამოვლინებად მიიჩნევენ...

**რა არის ეს? (9 ქულა)**

### კითხვა №9

1915-77 წლებში ერთი კოლონიის დროშაზე ასეთი დევიზი ეწერა: „ქვეყანას შუაზე ყოფს, მსოფლიოს აერთებს“.

**რა ჰქვია ახლა ამ კოლონიას? (9 ქულა)**

### კითხვა №10

არტურ შოპენჰაუერის აზრით, ეს ფაქტი ადამიანის უფლებებს ორჯერ ამცირებს და ორჯერ ზრდის მის მოვალეობას...

**რა არის ეს? (8 ქულა)**

### კითხვა №11

პრაქტიკაში ეს ბურთულა ზიგზაგური მოძრაობისას 5000 ბრუნს აკეთებს წუთში, სწორხაზოვანი მოძრაობისას კი 20000-ს.

**სადაა მოთავსებული ეს ბურთულა? (9 ქულა)**

### კითხვა №12

1905 წელს პარიზში გაიმართა უცნაური ასპარეზობა, რომლის დროსაც 300 მონაწილე ეჯიბრებოდა ერთმანეთს 300 მეტრზე სირბილში. გამარჯვებულმა მთელი დისტანცია 3 წუთსა და 12 წამში დაფარა...

**კონკრეტულად სად გაიმართა ეს ასპარეზობა? (9 ქულა)**

სექტემბრის მეორე ნახევარში დაიწყება „ალო, ფანტაზიის“ ტურნირის მესამე, საშემოდგომო ეტაპი, რომელიც, ისევე როგორც პირველი, 12 ტურად ჩატარდება. ამ ტურნირის შედეგად გამოვლინდება ჩვენი გაზეთის ინტელექტუალ მკითხველთა შორის გამართული ასპარეზობის 2000 წლის გამარჯვებული. მასში მონაწილეობის მსურველებს და დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ და გამოთქვან საკუთარი აზრი ჩვენს მიერ უკვე ჩატარებული და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

### ცნობისმოყვარეთათვის
## ბუნების უცნაურობანი

### ქარიშხლები და ატომური აფეთქებები

ტროპიკული ქარიშხლის დროს ყოველწამიერად 10-15-ჯერ მეტი ენერგია გამოიყოფა, ვიდრე იმ ატომური ბომბის აფეთქების შედეგად, რომელიც 1945 წელს იაპონიაში ჩამოაგდეს ამერიკელებმა. ქარიშხალი, რომელიც განუწყვეტლივ 12 საათს გრძელდება ფლობს ენერგიას, რაც ხიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბის 500 000 ერთეულის ეკვივალენტურია.

### უფრო ხშირად დასვენების დღეებში წვიმს

თუ თქვენ ოდესმე მოგჩვენებიათ, რომ წვიმა დასვენების დღეებში უფრო ხშირად მოდის, ვიდრე სამუშაო დღეებში, იცოდეთ, რომ თქვენ მართალი ბრძანებულხართ... არიზონას შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაანალიზეს მონაცემები 1946 წლის შემდეგ და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წვიმის ალბათობა შაბათსა და კვირას 22 პროცენტით უფრო მეტია, ვიდრე ორშაბათს. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რით შეიძლება აიხსნას ამგვარი დამოკიდებულება, მაგრამ მეცნიერები ფიქრობენ, რომ ადამიანები თავად არიან ამაში დამნაშავენი. მათი აზრით, წვიმები შაბათ-კვირას უფრო ხშირად იმ მიზეზით მოდის, რომ სამუშაო დღეებში ავტომობილების გამონაბოლქვ გაზებთან ერთად ჰაერში იფანტება ათასობით ტონა უმცირესი აეროზოლური ნაწილაკები. სწორედ ეს ნაწილაკები იქცევა შემდეგ იმ „თესლად“, სადიანაც წვიმის წვეთების აღმოცენება ხდება - ასე ფიქრობენ არიზონელი მეცნიერები.

### ტბა და საკრალური რიცხვები

ტბა „თერთმეტი“ (Eleven), რომელიც დიდ ბრიტანეთში მდებარეობს, შემთხვევით არ ატარებს ასეთ სახელს. მისი სანაპირო ზოლის სიგრძე ზუსტად 11 მილია, ტბაში 11 კუნძულია, მის წყლებში 11 სახეობის თევზი ბინადრობს და 11-ნაირი წყალმცენარე იზრდება.

### ფეხბურთის მსაჯი – წყარო

კუბის დასავლეთ ნაწილში, ბაია მატას ყურიდან ორასიოდე მეტრში არის ხმაურიანი წყარო, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის საათის დანიშნულებას ასრულებს. ყოველი 45 წუთის „მუშაობის“ შემდეგ წყარო მშვიდდება და სწორედ ამდენივე ხნის განმავლობაში უმოქმედოდაა გაჩერებული, რასაც კვლავ 45 წუთიანი ამოფრქვევა მოსდევს და ასე შემდეგ... ადგილობრივი მოსახლეობა ამ წყაროს „ფეხბურთის მსაჯსაც“ უწოდებს...

### სვავები – ინდიკატორები

ცნობილია, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს უზარმაზარი სიგრძის გაზსადენი მილების მომსახურება. განსაკუთრებულ სიძნელეს გაზის გაჟონვის ადგილების მოძებნა წარმოადგენს... ყოჩაღმა ამერიკელებმა კი ამ პრობლემის გადასაჭრელად მათი ბუნების ერთობ ეგზოტიკური წარმომადგენლები, თავმოტვლეპილი სვავები დაასაქმეს... ისინი გამდინარე გაზში ურევენ ისეთი ცუდი სუნის მქონე ნივთიერებებს, რაც ლპობადი სხეულებისათვისაა დამახასიათებელი და თავად შორიდან უმზერენ, თუ რა ადგილას იყრიან თავს სვავები, რომლებსაც ეს სუნი იზიდავთ... ასე რომ, ბუნებაში ყველას აქვს თავისი სასიკეთო დანიშნულება.

**თარაზულად**: 9. ამ მავზოლეუმის სახელწოდება მომდინარეობს კარიის მეფის სამარხი ნაგებობის სახელიდან. „სადაური“ იყო ეს მეფე? 10. კლასიკური ეპოქის საბერძნეთის (ძვ.წ. V ს) უდიდესი სკულპტორი. 13. ჰერმესის საგანგებო კვერთხი, რომელზედაც გველებია დახვეული. 14. ლიტვის ერთ-ერთი ქალაქის მკვიდრი. 15. „სავარსკვლავთმრიცხველო იარაღი“, რომელიც მეფე-პოეტ თეიმურაზ II-ს ბედის გამოსარკვევ იარაღად აქვს ნახსენები თავის ნაწარმოებში. 16. ზღვაში შესასვლელი ვიწრო ადგილი (საბა). 17. მდინარე რუსეთში. 19. (....)-ულ-ჰაკი - პაკისტანის ცნობილი პოლიტ. მოღვაწე 20. რას აკეთებენ აყიროსგან (მიც. ბრ.)? 21. რომის პაპი, რომლის დროსაც მოწვეულ იქნა მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრება. 24. XX ს ერთ-ერთი საოცრება... ვიზუალურ სფეროში. 25. ძველი საეკლესიო წელთაღრიცხვის მოქცევის ერთეული. 26. მოკლე ცალპირალესილი (ერთფხიანი) ოდნავმოხრილი საწესო დანა. 30. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის. 32. სახელმწიფო აფრიკაში. 34. სოხუმი - აფხაზურად. 37. ოთხდრაქმიანი მონეტა. 38. „რესტორანი“ ძველ თბილისში. 40. ცენტრ. ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი. 41. წამალი, რომელსაც დაატარებდნენ ძველი დროის მკურნალები და ხმარობდნენ, რომ არ ეყნოსათ სნეულის სუნი. (საბა). 42. ნიკოლოზ შენგელაიას ფილმი. 45. დაუდეგარი, ქარაფშუტა. 47. სახელმწიფო ევროპაში. 48. ჩვენი საესტრადო ანსამბლი. 49. ამერიკელი კინორეჟისორის სპილბერგის კინოკომპანიის სახელწოდება. 51. თითქმის, ლამის. 55. რიგიანი, ხეირიანი, გამოსადეგი. 56. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი. 58. თხელი, სწორპირიანი სატეხი, ხვეწი. 60. ქალღმერთ ათენასადმი მიძღვნილი საერთო-საატიკო დღესასწაული, იმართებოდა ყოველ მეოთხე წელს. 62. მედიკამენტი. 64. ქალაქი ტეხასის შტატში. 66. მაღალი წვეტიანი თავსაბურავი სპარსთა მეფის. 67. სოფელი ზესტაფონის რ-ში. 69. ის, ვინც 1918 წ 16 ივლისს ხელი მოაწერა ნიკოლოზ II-ის, მისი მეუღლის და ბავშვების დახვრეტის განაჩენს. 71. კამათი, პაექრობა. 72. „საღ“ ჩამოდის მდინარე ვაჟას ერთ ლექსში? 74. იტალიის ერთ-ერთი ქალაქის მკვიდრი. 76. ტაძრის ან შესაბამისი ძეგლის ღვთისადმი გადაცემის, საღვთოდ განწესების აქტი. 78 „გმირთა ვარამის“ ავტორი. 79. ყოვლისშემძლეობა. 81. პატარძლის მაყარი ქალი. 85. რას უწოდებენ სახელმწიფო წყობილებას (რას)? 87. ბრტყელი მაგარი ჩალის ქუდი. 89. გრაფიკული ნიშანი. 92. ქალაქი მაკედონიაში. 94. თითნაკლებობა. 95. თავისუფლება. 96. ძვ. რომაული წონის ერთეული. 97. აჭრილი რძე.





**შვეულად**: 1. ანტიკური, სპორტსმენი გიმნასტიკაში გაწვრთნილი. 2. ვის განასახიერებს დოდო აბაშიძე ფილმში - „ჭრიჭინა“? (მიც. ბრ.) 3. ბალეტში ოთხი შემსრულებლის ცეკვა (ორი ტირეთი). 4. რომის იმპერატორის სახელით მოჭრილი მონეტა. 5. ქალაქის, ბაზრის ზედამხედველი მეთვალყურე ძველ რომში. 6. საბეჭდი მანქანის ნაწილი. 7. ბიჭვინთის ძველებური სახელწოდება. 8. ქალაქი და კერამიკული წარმოების ცნობილი კერა ძვ. საბერძნეთში. 11. რომის პაპი (314-335 წწ.). 12. შტატი ამერიკაში. 18. ხორცის წებო (იადიგარ.). 22. დასავლეთი ანუ ბერძნებისათვის - იტალია, რომაელთათვის - ესპანეთი და დასავლეთ აფრიკა. 23. სოფელი ქართლში. 27. ერთგვარი მეჭეჭი, მეტხორცი შუბლზე. (იადიგარ). 28. გასათხრელი ფართობის უმცირესი ერთეული (არქეოლ). 29. მედიკამენტი. 31. ქალაქი ავსტრალიაში. 33. უდიდესი ქართველი მწერალი. 35. სახელოსნო, სადაც ცხენის ალკაზმულობის ტყავის ნაწილები მზადდება. 36. გართულებული გამწყრალი მუწუკი ან ჭრილობა (იადიგარ) 39. აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი. 43. ერმიტაჟში დაცული დიდი წითელი ფიგურული ჰიდრია, ვაზათვაზა. 44. ქალაქი ყაზახეთში. 46. შეტევა, თავდასხმა. 50. 1900 წ დანიაში აღმოჩენილი იქნა მეზოლითური ხანის კლასიკური საცხოვრისი... რა ჰქვიათ ამ ეპოქის მაცხოვრებლებს? 52. ლახვარი, სისხლის გამოსაშვები ინსტრუმენტი (იადიგარ). 53. ბერძნ. მითოლოგიაში ქვესკნელის ქალღმერთი. 54. როგორი განათლებაა საჭირო სოფლის მეურნეობის სპეციალისტისათვის? 57. საქართველოს ერთ-ერთი რაიონის მაცხოვრებელი. 59. პიროვნება, ცალკე ადამიანი. 61. მსხვილად ნაქსოვი შალის ან ბამბის ქსოვილი. 63. სოფელი ხაშურთან. 65. წვივსაკრავი (საბა). 68. მარცვლოვანი კულტურა. 70. ანბარა ანუ პოტთეზი (საბა). 73. ურარტუელთა ღვთაება. 75. ქრისტეს მოციქული, ოთხმახარობელთაგანი. 77. ქვეყანა მცირე აზიის შუა გულში, წმინდა ნინოს სამშობლო. 80. რომის რომელი პაპის დროს იყო მოწვეული მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრება? 82. ბავშვის (ბიჭის) მაღალი ხმა. 83. რას უწოდებენ ორყურა ჭურჭელს რომელსაც ტანის ქვედა ნაწილი ძალიან მსხვილი აქვს? (არქეოლ). 84. პარკის მსგავსი სიმსივნე, რომელიც სავსეა სითხით ან ფაფისებრი მასით. 86. ხოკის სენი (საბა). 88. სატყორცნი იარაღის ერთ-ერთი სახეობა. (არქეოლ.) 90. მიმართვა მეფისადმი საფრანგეთში ძველად. 91. ყურსაჩიჩქნი. 93. მდინარე რუსეთში.



**თარაზულად:** 1. ჩვენში არცთუ ისე პოპულარული ალკოჰოლური სასმელი. 6. ამა თუ იმ პოლიტიკური თავყრილობის შემაჯამებელი სხდომა. 10. რუსი (საბჭოთა) კომპოზიტორი, ცნობილი თავისი „ხუმრობებით“. 11. რა არის ხუნტა თავისი არსით? 12. აშშ-ს შტატი. 13. ახლო წარსულის ზამთრის ერთ-ერთი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. 14. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 15. გვარი სპირიდონისა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან - „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. 17. XVI-XVII საუკუნეების იტალიელი პოეტი და ფილოსოფოსი, თითქმის „ქართული სახელით“. 19. ტბა ალასკის ნახევარკუნძულზე. 21. უკანასკნელი დროის ცნობილი ბრაზილელი ფეხბურთელი ერთობ „ფილოსოფიური გვარით“. 23. სახისმიერი ქმედება ანუ რა? 25. მსოფლიო კინოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი მამაკაცი. 27. XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი. 29. გულის გამაწვრილებელი ანუ როგორი? 31. ქართული ვაზისა და ღვინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა. 33. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რუბრიკა. 35. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ძველბერძენი დრამატურგი. 39. ვენეციელთა ნავი. 40. ამერიკელი მწერალი, ავტორი პოპულარული რომანისა „У пропасти во ржи“ (ქართული სათაური თავად გაიხსენეთ). 41. ძალიან მაგარი ქვა. 42. ელიტარული სასწავლებლის ადგილი დიდბრიტანელ ყმაწვილთათვის. 43. „ბელადის“ მოსახსენებიელი ერთ-ერთი სრულიად საბჭოური ცნება.

**შვეულად:** 1. ვინ იმალება კროსვორდის უკან (სახელი და გვარი). 2. ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლი, რელიგიურ ჰიმნთა კრებული. 3. ყველაზე ცნობილი პორტუგალიელი ზღვაოსანი (უნდა ჩაწეროთ მისი გვარსახელის სრული ვარიანტი). 4. გამკილავი საშუალება, რითაც მრავალი ბრიყვი უპირისპირდება გონიერთა ნამოქმედარს. 5. იერარქიული წეს-წყობილების ზოგადი შემადგენელი ნაწილი. 6. თანამედროვე კინოს (ალბათ!) ყველაზე გენიალური რეჟისორი. 7. ერთადერთი კინოპერსონაჟი, რომელსაც უზარმაზარი ძეგლი უდგას. 8. ასაფეთქებელი ნივთიერება. 9. რუსული ზღაპრების ყველაზე მშვენიერი ქალბატონი. 16. საკმაოდ გამოყენებული მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა. 18. ტანსაცმელზე დაკერებული დაწნული ზონარი. 20. ერთ-ერთი არაქართველი პერსონაჟი ქალბატონი ყაზბეგის შემოქმედებიდან. 22. საბჭური ეპოქის საქართველოს მაღალჩინოსანი მოღვაწე უშიშროების სფეროში. 23. იაპონელი ქალის ერთი არცთუ მთლად სახარბიელო ტიტული. 24. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 26. სამსახიობო ამპლუა. 27. ქალისათვის ერთობ სასურველი სამკაულის ნედლეული. 28. შეიარაღებულ თანამზრახველთა ჯგუფი. 30. ინგლისური ავტომობილი ერთობ „მტაცებლური იმიჯით“. 32. ჩვენი კონიაკი. 34. ხომალდის ეკიპაჟის ყველაზე ახალგაზრდა წევრი. 36. პოპულარული ცეკვა. 37. ნახშირბადისა და წყალბადის ატომების ჯგუფი, რომელიც შედის ბევრი ორგანული ნაერთის შემადგენლობაში. 38. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი.

# აფორიზმების ანთოლოგია

**652**. სხვა არანაირი საქმისათვის არ ერთიანდებიან მამაკაცები ისე სწრაფად, როგორც სხვა მამაკაცების მოკვლისათვის.

***სიუზენ ბლასპელი***

**653**. ომი პიკნიკი იქნებოდა, რომა არა ტილები და დიზენტერია.

***მარგარეტ მიტჩელი***

**654**. ომი ტრავმატული ეპიდემიაა.

***ნიკოლაი პიროგოვი***

**655**. ომი ლაჩრების გაქცევაა მშვიდობიანობის პრობლემებისაგან.

***თომას მანი***

**656**. ევროპელებს შორის წარმოებული ყველა ომი სამოქალაქო ომია.

***ვიქტორ ჰიუგო***

**657**. როგორ წარიმართება მშვიდობა და როგორ იწყება ომები? დიპლომატები ცრუობენ ჟურნალისტთა წინაშე და სჯერათ თავისივე სიცრუისა, გაზეთებში რომ კითხულობენ.

***კარლ კრაუსი***

**658**. მოხუცები აცხადებენ ომს, სასიკვდილოდ კი ახალგაზრდები მიდიან.

***ჰერბერტ გუვერი***



**659**. მხოლოდ გამარჯვებულები წყვეტენ, თუ რაში მდგომარეობს სამხედრო დანაშაული.

***ჰარი უილსი***

